უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

„აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი: **28 მარტი, 2023 წ.**

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება;
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება;
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება;
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება.

ექსპერტი

სახელი: დარეჯან

გვარი: გარდავაძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	აღმოსავლეთმცოდნეობა / Eastern Studies
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მეექვსე (უმაღლესი განათლების პირველი)
4	კვალიფიკაციის დასახელება	(0388.1.3) ახლო ან შუა აღმოსავლეთის კვლევები Near and / or Middle Eastern Studies
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0388 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	კოსტავას 77ა, თბილისი,

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

		IV კორპუსი, 0171, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	**აკრედიტებული** **გადაწყვეტილება #782154**
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	**24.06.2022**
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	**24.12.2022**
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	**24.06.2029**

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

ექსპერტთა დასკვნაში (პროგრამის შეფასების თარიღი: 19 აპრილი, 2022 წ. დასკვნის წარდგენის თარიღი: 10 ივნისი, 2022 წ.) **ასახული იყო შემდეგი რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, პროგრამის მიზან-შედეგებში ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სწავლებაში ისეთი ასპექტები იყოს გამოყოფილი და წინ წამოწეული, როგორიცაა რეგიონის პოლიტიკური გეოგრაფია, პოლიტოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა ასპექტები, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები და საერთაშორისო პოლიტიკა, ახლო აღმოსავლეთის რეგიონული და საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ტერორიზმი და საერთაშორისო უსაფრთხოება...
2. რეკომენდებულია ასევე, პროგრამის ინტერდისციპლინური სფერო: სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა პროგრამის სტრუქტურაშიც შესაბამისი ძირითადი სფეროს კომპეტენციების გამომამუშავებელი სასწავლო კომპონენტებით/დისციპლინებით იყოს გაძლიერებული.
3. რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის („ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური გეოგრაფია“, „ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფო წყობილება და სამართალი“) სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის სიიდან იმ ნაშრომის ამოღება, რომელიც ასახსნელი თემატური მასალის მოსამზადებლად არ გამოიყენება; ასევე, მიზანშეწონილია, „ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფო წყობილებისა და სამართლის“ სილაბუსის შინაარსი უფრო მეტად იყოს ორიენტირებული სახელმწიფო წყობილებისა და სამართლის პრობლემატიკაზე.
4. მიზანშეწონილია, როგორც პროგრამის, ისე ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში შედეგების ფორმულირების თვალსაზრისით იყოს ერთგვაროვანი მიდგომები და პროგრამა ყველგან მისდევდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელმძღვანელო დოკუმენტებსა (ECTS სახელმძღვანელო) და ბლუმის ტაქსონომიით რეკომენდებული ზმნებით (აწმყო დროში, აქტიური ზმნების პირიანი ფორმებით) შედეგების გაწერას. ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგ., „ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური გეოგრაფია“, „შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში“) სწავლის შედეგებმა, რეკომენდებულია, უფრო მეტად დარგობრივი კომპეტენციები ასახოს, „უნარებისა“ და „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის“ ფარგლებში კი შესატყვისი სწავლის შედეგები მიეთითოს; ასევე, მიზანშეწონილია, „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის“ სილაბუსში სწავლის შედეგებში, გარდა „უნარებისა“, „ცოდნა-გაცნობიერების“ კომპეტენციაც ნათლად ჩანდეს.

---

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

5. რეკომენდებულია, წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტმა გააქტიუროს მუშაობა როგორც სასწავლო პროცესის, ისე კვლევების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.
6. რეკომენდებულია, პროგრამის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად ჩაერთოს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროექტებში, რაშიც, სასურველია, უსდ-მ მეტად შეუწყოს მათ ხელი.
7. მიზანშეწონილია, შედგეს გამოკითხვების ანალიზის ანგარიშებზე რეაგირება და ნებისმიერი მნიშვნელოვან შედეგზე ორიენტირებული მოქმედება (მათ შორის პროგრამის განხილვა, თვითშეფასების ჯგუფის მუშაობა) პროცედურულად აისახოს ოფიციალური წესით (მინიმუმ ოქმის სახით მაინც) შინაარსობრივი და ფორმალური მოთხოვნების დაცვის მიზნით; ასევე, რეკომენდებულია, გამოკითხვის კითხვარები შეიცავდეს სრული ინფორმაციას მოწვეული ლექტორების საჭიროებების შესახებაც.
8. რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის წესი დაიხვეწოს და არსებულმა დოკუმენტმა მოიცვას როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი მოთხოვნების შესახებ აუცილებელი ინფორმაცია სრულად; ასევე, დაიხვეწოს საბაკალავრო ნაშრომის დაცვის საბჭოს შემადგენლობის დაკომპლექტების მექანიზმი სამართლიანობისა და ობიექტურობის უფრო მეტად უზრუნველსაყოფად ისე, რომ საბჭოს შემადგენლობაში ნახევარი ან ნახევარზე მეტი არ იყოს ნაშრომის ხელმძღვანელი, ექსპერტი და თანახელმძღვანელი.
9. რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგის ღონისძიებები აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის შინაარსობრივი მხარის სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ახალ მოთხოვნებთან უფრო მეტად თავსებადობის, საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცედურული თუ შინაარსობრივი საკითხების გადამუშავების, პრაქტიკაში ხარისხის შიდა რეგულაციების სრული დაცვის, სილაბუსების დახვეწის, პროგრამის განვითარების მიზნით პრობლემების დადგენა-იდენტიფიცირებაზე ორიენტირებული კვლევების ჩატარების მიმართულებით.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) **ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები ნაწილობრივ გაიზიარა და ექსპერტთა რჩევების ნაწილის რეკომენდაციებში გადმოტანის შემდეგ განსაზღვრა შემდეგნაირად:**

1. რეკომენდებულია, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, მიზნებში (და შემდეგ უკვე მათგან გამომდინარე შედეგებში) ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სწავლებაში ისეთი ასპექტები გამოიყოს და წინ წამოიწიოს, როგორიცაა რეგიონის პოლიტიკური გეოგრაფია, პოლიტოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა ასპექტები, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები და საერთაშორისო პოლიტიკა, ახლო აღმოსავლეთის რეგიონული და საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ტერორიზმი და საერთაშორისო უსაფრთხოება...
2. რეკომენდირებულია პროგრამის მიზნებში გათვალისწინებული იყოს ბაზრის მოთხოვნები და ტენდენციები;
3. რეკომენდირებულია, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, შედეგებში (ისევე, როგორც მიზნებში) გამოკვეთილად აისახოს გლობალური პოლიტიკა და რეგიონის პოლიტიკური გეოგრაფია, პოლიტოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა ასპექტები, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები და საერთაშორისო პოლიტიკა, ახლო აღმოსავლეთის რეგიონული და საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ტერორიზმი და

საერთაშორისო უსაფრთხოება...

4. რეკომენდირებულია შემუშავდეს პროგრამის სამიზნე ნიშნულები;

5. რეკომენდებულია, პროგრამის ინტერდისციპლინური სფერო: სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა პროგრამის სტრუქტურაში შესაბამისი ძირითადი სფეროს სასწავლო კომპონენტებით/დისციპლინებით იყოს გაძლიერებული;

6. პროგრამის მიზნების, შედეგების და საბაკალავრო ნაშრომის სავალდებულობის გათვალისწინებით რეკომენდირებულია შეიქმნას საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, რომელშიც ასახული უნდა იყოს: სასწავლო კურსის მიზანი, შედეგები, შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები და ასევე ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც ითვალისწინებს სილაბუსის საუნივერსიტეტო სტანდარტი;

7. რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის („ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური გეოგრაფია“, „ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფო წყობილება და სამართალი“) სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის სიიდან იმ ნაშრომის ამოღება, რომელიც ასახსნელი თემატური მასალის მოსამზადებლად არ გამოიყენება; ასევე, მიზანშეწონილია, „ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფო წყობილებისა და სამართლის“ სილაბუსის შინაარსი უფრო მეტად იყოს ორიენტირებული სახელმწიფო წყობილებისა და სამართლის პრობლემატიკაზე;

8. მიზანშეწონილია, როგორც პროგრამის, ისე ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში შედეგების ფორმულირების თვალსაზრისით იყოს ერთგვაროვანი მიდგომები და პროგრამა ყველგან მისდევდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელმძღვანელო დოკუმენტებსა (ECTS სახელმძღვანელო) და ბლუმის ტაქსონომიით რეკომენდებული ზმნებით (აწმყო დროში, აქტიური ზმნების პირიანი ფორმებით) შედეგების გაწერას. ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგ., „ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური გეოგრაფია“, „შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში“) სწავლის შედეგებმა, რეკომენდებულია, უფრო მეტად დარგობრივი კომპეტენციები ასახოს, „უნარებისა“ და „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის“ ფარგლებში კი შესატყვისი სწავლის შედეგები მიეთითოს; ასევე, მიზანშეწონილია, „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის“ სილაბუსში სწავლის შედეგებში, გარდა „უნარებისა“, „ცოდნა-გაცნობიერების“ კომპეტენციაც ნათლად ჩანდეს;

9. რეკომენდირებულია, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი არ იყოს მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელი, არამედ პროგრამის განმახორციელებელი სხვადასხვა მიმართულების აკადემიური და მოწვეული პერსონალი;

10. რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის წესი დაიხვეწოს და არსებულმა დოკუმენტმა მოიცვას როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი მოთხოვნების შესახებ აუცილებელი ინფორმაცია სრულად; ასევე, დასახვეწია საბაკალავრო ნაშრომის დაცვის საბჭოს შემადგენლობის დაკომპლექტების მექანიზმი ნაშრომის შეფასებისას სამართლიანობისა და ობიექტურობის უფრო მეტად უზრუნველსაყოფად ისე, რომ საბჭოს შემადგენლობაში ნახევარი ან ნახევარზე მეტი არ იყოს ნაშრომის ხელმძღვანელი, ექსპერტი და თანახელმძღვანელი;

11. რეკომენდებულია ცალკეულ სილაბუსებში გაიწეროს შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;

12. რეკომენდებულია, რომ წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტმა გააქტიუროს მუშაობა როგორც სასწავლო პროცესის, ისე კვლევების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით;

13. რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად ჩაერთოს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროექტებში, რაშიც, სასურველია, უსდ-მ მეტად შეუწყოს მათ ხელი;

14. მიზანშეწონილია, შედგეს გამოკითხვების ანალიზის ანგარიშებზე რეაგირება, ნებისმიერი მნიშვნელოვან შედეგზე ორიენტირებული მოქმედება (მათ შორის პროგრამის განხილვა, თვითშეფასების ჯგუფის მუშაობა) პროცედურულად აისახოს ოფიციალური წესით (მინიმუმ ოქმის სახით მაინც) შინაარსობრივი და ფორმალური მოთხოვნების დაცვის მიზნით; ასევე, რეკომენდებულია, გამოკითხვის კითხვარები შეიცავდეს სრული ინფორმაციას მოწვეული ლექტორების საჭიროებების შესახებაც;
15. რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგის ღონისძიებები აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის შინაარსობრივი მხარის სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ახალ მოთხოვნებთან უფრო მეტად თავსებადობის, საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცედურული თუ შინაარსობრივი საკითხების გადამუშავების, პრაქტიკაში ხარისხის შიდა რეგულაციების სრული დაცვის, სილაბუსების დახვეწის, პროგრამის განვითარების მიზნით პრობლემების დადგენა-იდენტიფიცირებაზე ორიენტირებული კვლევების ჩატარების მიმართულებით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

როგორც შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ 23.12.2022-ში წარმოდგენილი ანგარიშიდან (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ანგარიშის წარმოდგენის ვადად განსაზღვრული იყო 6 თვე – 2022 წლის 24 თებერვლამდე) და თანდართული დოკუმენტებიდან ჩანს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 24 ივნისის № 782154 გადაწყვეტილებით შპს საქართველოს უნივერსიტეტის „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის გათვალისწინებული რეკომენდაციების შესასრულებლად აღნიშნული რეკომენდაციები ჯერ განხილულ იქნა პროგრამის განვითარების საბჭოზე, შეფასდა მათი გათვალისწინების მიზანშეწონილობა, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიცია თითოეულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და შემდეგ დაიგეგმა და განხორციელდა რეკომენდაციების გასათვალისწინებლად საჭირო აქტივობები.

აღნიშნული ცვლილებების დაგეგმვაში, იმპლემენტაციასა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი ანგარიშის მომზადებაში საკუთარი ფუნქციებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ეტაპზე, ჩართული იყვნენ სკოლის დირექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, აღმოსავლეთმცოდნეობის პროგრამის განვითარების საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალი და პროგრამის სტუდენტები.

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

რჩევ(ებ)ი[8]
ექსპერტთა დასკვნაში (პროგრამის შეფასების თარიღი: 19 აპრილი, 2022 წ. დასკვნის წარდგენის თარიღი: 10 ივნისი, 2022 წ.) **ასახული იყო შემდეგი რჩევები:**

1. სასურველი იქნება სასწავლო კურსში „ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფო წყობილება და სამართალი“ შეიცვალოს პრერეკვიზიტი ან სასწავლო ლიტერატურას დაემატოს ინგლისურენოვანი მასალა.

2. სასურველია რამდენიმე საგნის სილაბუსში (ახლო აღმოსავლეთის ისტორია II, არაბული/სპარსული/თურქული ენა III, VII) პრერეკვიზიტების გასწორება პროგრამით გათვალისწინებული საგნების მიხედვით.

3. სასურველია ჩაიშალოს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ისე, რომ დაემატოს რეცენზენტის შეფასება.

4. სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი არ იყოს მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელი, არამედ პროგრამის განმახორციელებელი სხვადასხვა მიმართულების აკადემიური და მოწვეული პროფესურა.

5. სასურველია უნივერსიტეტმა გააფართოვოს ურთიერთობები უცხოეთის (პირველ რიგში, დასავლეთის) სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებთან და გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები თანამშრომლობის შესახებ იმ უნივერსიტეტებთან, სადაც წარმოდგენილი პროგრამის მსგავსი პროგრამები არსებობს.

6. სასურველია, სამომავლოდ უნივერსიტეტმა პერსონალისთვის შეიმუშავოს CV-ში შესატანი აუცილებელი ინფორმაციის ჩამონათვალი, რის გათვალისწინებასაც მოითხოვს აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან კალენდარული ავტობიოგრაფის შედგენისას.

7. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დოკუმენტებში (დებულებებში) არსებული ტექნიკური უზუსტობები (ყველა აკადემიური თანამდებობის მქონე პირზე აფილირების წესის გავრცელების, საგანმანათლებლო პროგრამის განმარტების შესახებ და სხვ.) გასწორდეს;

8. კარგი იქნება, აკადემიური პერსონალი და კურსდამთავრებულები უფრო მეტად იყვნენ ჩართული როგორც პროგრამის შემუშავების, ისე განვითარების პროცესში.

9. კარგი იქნება, პროგრამის ხარისხის ასამაღლებლად გამოყენებულ იქნეს გარე შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა: პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან გამოხმაურებები, მსგავსი პროგრამების უცხოელი პროფესორების წინადადებები და სხვა.

---

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

10. კარგი იქნება, შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების სისტემატური კვლევა, რათა პროგრამა მუდმივად დინამიკასა და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე იყოს ორიენტირებული.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) **ექსპერტთა დასკვნაში ასახული რჩევების ნაწილი რეკომენდაციებში გადმოიტანა** (იხ. ზემოთ საბჭოს რეკომენდაციები), **რის შემდეგაც საბჭოს ცალკე რჩევები აღარ განუსაზღვრავს.**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

როგორც შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ 23.12.2022-ში წარმოდგენილი ანგარიშიდან (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ანგარიშის წარმოდგენის ვადად განსაზღვრული იყო 6 თვე – 2022 წლის 24 თებერვლამდე) და თანდართული დოკუმენტებიდან ჩანს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 24 ივნისის № 782154 გადაწყვეტილებით შპს საქართველოს უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის გათვალისწინებული რეკომენდაციები (მათ შორის, ის რეკომენდაციებიც, რომლებიც ექსპერტთა დასკვნაში რჩევების სახით იყო წარმოდგენილი და საბჭოს გადაწყვეტილებით რეკომენდაციების ნაწილში იქნა გადატანილი) შესასრულებლად განხილულ იქნა პროგრამის განვითარების საბჭოზე, შეფასდა მათი გათვალისწინების მიზანშეწონილობა, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიცია თითოეულ მათგანთან დაკავშირებით და შემდეგ დაიგეგმა და განხორციელდა რეკომენდაციების გასათვალისწინებლად საჭირო აქტივობები (იხ. რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ დეტალური ინფორმაცია).

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

---

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.1 პროგრამის მიზნები
რეკომენდაცია I და II [14]	**1.** რეკომენდებულია, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, მიზნებში (და შემდეგ უკვე მათგან გამომდინარე შედეგებში) ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სწავლებაში ისეთი ასპექტები გამოიყოს და წინ წამოიწიოს, როგორიცაა რეგიონის პოლიტიკური გეოგრაფია, პოლიტოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა ასპექტები, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები და საერთაშორისო პოლიტიკა, ახლო აღმოსავლეთის რეგიონული და საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ტერორიზმი და საერთაშორისო უსაფრთხოება... **2.** რეკომენდირებულია პროგრამის მიზნებში გათვალისწინებული იყოს ბაზრის მოთხოვნები და ტენდენციები;
შეფასება	პროგრამის განვითარების საბჭომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად მოახდინა პროგრამის მოდიფიცირება და მასში ისეთი ცვლილებების შეიტანა, რამაც უზრუნველყო რეკომენდებული *რეგიონის პოლიტიკური გეოგრაფიის, პოლიტოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა ასპექტების, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებისა და საერთაშორისო პოლიტიკის, ახლო აღმოსავლეთის რეგიონული და საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო ტერორიზმისა და საერთაშორისო უსაფრთხოების*...კომპეტენციების გამომამუშავებელი სასწავლო კომპონენტების / დისციპლინების და მათი შედეგების შესაბამისი ფორმით ასახვა პროგრამის მიზნებში ისევე, როგორც პროგრამის მიზნებში აისახა შრომითი ბაზრის მოთხოვნები და ტენდენციები. ორივე რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა[15]	
შეფასება	

[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

მტკიცებულებ(ები)ა	• შპს საქართველოს უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია **III**[16]	**3.** რეკომენდირებულია, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, შედეგებში (ისევე, როგორც მიზნებში) გამოკვეთილად აისახოს გლობალური პოლიტიკა და რეგიონის პოლიტიკური გეოგრაფია, პოლიტოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა ასპექტები, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები და საერთაშორისო პოლიტიკა, ახლო აღმოსავლეთის რეგიონული და საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ტერორიზმი და საერთაშორისო უსაფრთხოება...
შეფასება	პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, მიზნების, შედეგების გადამუშავებისა და კვალიფიკაციის ინტერდისციპლინური სფეროს გამოკვეთის თაობაზე მესამე რეკომენდაციის შესრულების მიზნით, პროგრამის თანხვედრა კლასიფიკატორით განსაზღვრულ სფეროსთან მეტად გამოიკვეთა. ამ მიზნით პროგრამის განვითარების საბჭომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად მოახდინა პროგრამის მოდიფიცირება და მასში ისეთი ცვლილებების შეიტანა, რამაც უზრუნველყო პროგრამის ინტერდისციპლინური სფეროს – *სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა* – კომპეტენციების გამომამუშავებელი სასწავლო კომპონენტების / დისციპლინების და მათი შედეგების შესაბამისი ფორმით ასახვა პროგრამის შედეგებში (პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე). რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა[17]	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• შპს საქართველოს უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო

[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია **V**[18]	**5.** რეკომენდებულია, პროგრამის ინტერდისციპლინური სფერო: სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა პროგრამის სტრუქტურაში შესაბამისი ძირითადი სფეროს სასწავლო კომპონენტებით/დისციპლინებით იყოს გაძლიერებული;
შეფასება	პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, კვალიფიკაციის ინტერდისციპლინური სფეროს გამოკვეთის თაობაზე მეხუთე რეკომენდაციის შესრულების მიზნით, პროგრამის თანხვედრა კლასიფიკატორით განსაზღვრულ სფეროსთან მეტად გამოიკვეთა. ამ მიზნით პროგრამის განვითარების საბჭომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად მოახდინა პროგრამის მოდიფიცირება და მასში ისეთი ცვლილებების შეიტანა, რამაც უზრუნველყო პროგრამის ინტერდისციპლინური სფეროს – *სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა* – კომპეტენციების გამომამუშავებელი სასწავლო კომპონენტების / დისციპლინების შესაბამისი ფორმით შეტანა პროგრამის სტრუქტურაში. კერძოდ: **ა)** თავისუფალი კრედიტებიდან ამოღებულ იქნა სასწავლო კურსები ინგლისური ენა A/1 და A/2, რომელიც განკუთვნილი იყო სტუდენტებისთვის, რომელთაც უნივერსიტეტში ჩარიცხვისას სუსტად იციან ინგლისური ენა და ეს დადასტურებულია ერთიან ეროვნულ გამოცდაზე მათ მიერ მიღებული დაბალი ქულით და მის ნაცვლად პროგრამას დაემატა **ახალი სავალდებულო კურსი - ORST3219 ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გეოპოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში,** როგორც პროგრამის განმახორციელებელი ინსტიტუციის ანგარიშშია აღნიშნული, ეს ცვლილება უცხოურ ენასთან (კონკრეტულად, ინგლისურ ენასთან) დაკავშირებით პრობლემას არ შეუქმნის სტუდენტს,

[18]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	რამდენადაც პროგრამაზე მიმდინარე წელს განისაზღვრა მინიმალური აუცილებელი ბარიერი ინგლისურ ენაში; **ბ)** განხორციელდა არსებული სასწავლო კურსის – ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური გეოგრაფია - შინაარსობრივი დაბალანსება პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიისთვის რელევანტური თემატიკით და, შესაბამისად, მოხდა დასახელებული კურსის ჩანაცვლება **ახალი სასწავლო კურსით - ORST2130 ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია;** **გ)** პროგრამიდან ამოღებული იქნა საგანი შესავალი საქართველოს ისტორიაში და ჩანაცვლდა საგნით – **ORST1117 საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური ურთიერთოებები;** **დ)** პროგრამის სავალდებულო საგნებიდან ამოღებული იქნა **ORST2220 ახლო აღმოსავლეთის ხელოვნება და კულტურა** I და **ORST3110 ახლო აღმოსავლეთის ხელოვნება და კულტურა** II, თითოეული 6 ECTS მოცულობით, განხორციელდა არსებული თემატიკის გადამუშავება და კონცენტრირება გაერთიანებულ სასწავლო კურსში **ORST2222 ახლო აღმოსავლეთის ხელოვნება და კულტურა,** ხოლო გამოთავისუფლებული კრედიტის ხარჯზე მომზადდა ახალი კურსი - **ORST1116 თანამედროვე საზოგადოება და რელიგია ახლო აღმოსავლეთში;** **ე)** პროგრამის სავალდებულო საგნებს დაემატა ახალი კურსი - **JMMB3120 მედია და პოლიტიკა;** **ვ)** პროგრამის სავალდებულო საგნებიდან ამოღებული იქნა საგანი **თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი** და იგი ჩანაცვლდა ახალი საგნით - **ORST4211 თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი (იდეოლოგია, პოლიტიკა, უსაფრთხოება).** აღნიშნული საგნობრივი ცვლილებები აისახა ასევე პროგრამის აღწერით ნაწილში. რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა[19]	

[19]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• შპს საქართველოს უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის სტრუქტურაში შეტანილი ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო კურსების სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია VII[20]	7. რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის („ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური გეოგრაფია“, „ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფო წყობილება და სამართალი“) სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის სიიდან იმ ნაშრომის ამოღება, რომელიც ასახსნელი თემატური მასალის მოსამზადებლად არ გამოიყენება; ასევე, მიზანშეწონილია, „ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფო წყობილებისა და სამართლის“ სილაბუსის შინაარსი უფრო მეტად იყოს ორიენტირებული სახელმწიფო წყობილებისა და სამართლის პრობლემატიკაზე;
შეფასება	„ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფო წყობილებისა და სამართლის“, ასევე „ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური გეოგრაფიის“ სილაბუსების გადამუშავების თაობაზე მეშვიდე რეკომენდაციის შესრულების მიზნით საფუძვლიანად მოდიფიცირდა ამ ასწავლო კურსების: „ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური გეოგრაფია“ და „ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფო წყობილება და სამართალი“ სილაბუსები და მათი შინაარსი და ფორმა თანხვედრაში მოვიდა რეკომენდაციის მოთხოვნებთან. რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა[21]	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	„ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფო წყობილებისა და სამართლის“, ასევე „ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური გეოგრაფიის“ გადამუშავებული სილაბუსები

[20]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[21]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია **VIII** და **XI**[22]	8. მიზანშეწონილია, როგორც პროგრამის, ისე ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში შედეგების ფორმულირების თვალსაზრისით იყოს ერთგვაროვანი მიდგომები და პროგრამა ყველგან მისდევდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელმძღვანელო დოკუმენტებსა (ECTS სახელმძღვანელო) და ბლუმის ტაქსონომიით რეკომენდებული ზმნებით (აწმყო დროში, აქტიური ზმნების პირიანი ფორმებით) შედეგების გაწერას. ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგ., „ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური გეოგრაფია“, „შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში“) სწავლის შედეგებმა, რეკომენდებულია, უფრო მეტად დარგობრივი კომპეტენციები ასახოს, „უნარებისა“ და „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის“ ფარგლებში კი შესატყვისი სწავლის შედეგები მიეთითოს; ასევე, მიზანშეწონილია, „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის“ სილაბუსში სწავლის შედეგებში, გარდა „უნარებისა“, „ცოდნა-გაცნობიერების“ კომპეტენციაც ნათლად ჩანდეს; 11. რეკომენდებულია ცალკეულ სილაბუსებში გაიწეროს შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
შეფასება	ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებისა და მათში გარკვეული რუბრიკების დახვეწასთან დაკავშირებული მერვე და მეთერთმეტე რეკომენდაციების შესრულების მიზნით პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფის რეაგირება ჩანს ინსტიტუციის ანგარიშზე თანდართულ განახლებულ სილაბუსებში. ორივე რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა[23]	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• შპს საქართველოს უნივერსიტეტის

[22]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[23]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამულ ანგარიშზე თანდართული სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია **VI, IX**[24]	**6.** პროგრამის მიზნების, შედეგების და საბაკალავრო ნაშრომის სავალდებულობის გათვალისწინებით რეკომენდირებულია შეიქმნას საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, რომელშიც ასახული უნდა იყოს: სასწავლო კურსის მიზანი, შედეგები, შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები და ასევე ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც ითვალისწინებს სილაბუსის საუნივერსიტეტო სტანდარტი; **9.** რეკომენდირებულია, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი არ იყოს მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელი, არამედ პროგრამის განმახორციელებელი სხვადასხვა მიმართულების აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
შეფასება	საბაკალავრო ნაშრომის სტანდარტებთან, შესრულებისა და დაცვის წესის დახვეწასთან, ნაშრომის ხელმძღვანელის განსაზღვრასთან დაკავშირებული მეექვსე და მეცხრე რეკომენდაციების გათვალისწინებისა და შესრულების მიზნით გადამუშავდა და დაიხვეწა საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის წესი მასში საბაკალავრო ნაშრომის როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის სრულყოფილად ასასახად. ორივე რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა[25]	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმებისა და შეფასების წესი; • საკვალიფიკაციო ნაშრომის დებულება;

[24]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[25]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	• საბაკალავრო დებულების დანართი; • APA სტილის ძირითადი მოთხოვნები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია **X**[26]	**10.** რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის წესი დაიხვეწოს და არსებულმა დოკუმენტმა მოიცვას როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი მოთხოვნების შესახებ აუცილებელი ინფორმაცია სრულად; ასევე, დასახვეწია საბაკალავრო ნაშრომის დაცვის საბჭოს შემადგენლობის დაკომპლექტების მექანიზმი ნაშრომის შეფასებისას სამართლიანობისა და ობიექტურობის უფრო მეტად უზრუნველსაყოფად ისე, რომ საბჭოს შემადგენლობაში ნახევარი ან ნახევარზე მეტი არ იყოს ნაშრომის ხელმძღვანელი, ექსპერტი და თანახელმძღვანელი.
შეფასება	საბაკალავრო ნაშრომის სტანდარტებთან, შესრულებისა და დაცვის წესის დახვეწასთან, დაცვის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრასთან დაკავშირებული მეათე რეკომენდაციის გათვალისწინებისა და შესრულების მიზნით გადამუშავდა და დაიხვეწა საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის წესი მასში საბაკალავრო ნაშრომის როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის, ისე დაცვის საბჭოს შემადგენლობის დაკომპლექტების მექანიზმის სრულყოფილად ასასახად. რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა[27]	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმებისა და შეფასების წესი; • საკვალიფიკაციო ნაშრომის დებულება; • საბაკალავრო დებულების დანართი; • APA სტილის ძირითადი მოთხოვნები.

[26]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[27]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1 ადამიანური რესურსი
რეკომენდაცია **XII**[28]	12. რეკომენდებულია, რომ წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტმა გააქტიუროს მუშაობა როგორც სასწავლო პროცესის, ისე კვლევების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.
შეფასება	აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაცია დასტურდება, ერთი მხრივ, შესაბამისი ქვეყნების უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამების და/ან ენობრივი კომპეტენციის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ აქტივობებში სტუდენტების მონაწილეობით და, მეორე მხრივ, პროგრამის განხორციელებაში უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების ჩართულობით. კერძოდ, სასწავლო პროცესის განხორციელებაში მონაწილეობენ თურქეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ექსპერტი, ასოც. პროფესორი სალიჰ უჩაქი და ირანის ისფაჰანის უნივერსიტეტის პროფესორი აქბარ ჰესაბი. ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი პროგრამული ანგარიშიდან ირკვევა, რომ პროგრამის 22 სტუდენტმა 2022 წლის ივლისში მონაწილეობა მიიღო თურქეთის ერდოღანის სახელობის რიზეს უნივერსიტეტის საერთაშორისო საზaფხულო სკოლის სპეციალურ სასწავლო პროგრამაში; იგეგმება სტუდენტთა ენობრივი სტაჟირება რიზეს უნივერსიტეტის 2023 წლის საზაფხულო სკოლაში და საქართველოს უნივერსიტეტის პარტნიორ თეირანის „ფაიამე ნურის უნივერსიტეტის“ (ირანი) სასწავლო ცენტრის 2023 წლის საზაფხულო -საშემოდგომო პროგრამაში. კვლევითი მუშაობის ინტერნაციონალიზაციის მიზნით პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და აქვეყნებს სამეცნიერო მუშაობის შედეგებს. კერძოდ: ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილ პროგრამულ ანგარიშსა და თანდართულ მასალაში დასტურდება პროგრამის განმახორციელებელთა შემდეგი

[28]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ინდივიდუალური სამეცნიერო აქტივობები: **ა.ჭულუხაძე –** **მოხსენებები:** თეირანში გამართული სამეცნიერო კონფერენციაზე „ირანი და ცენტრალური აზია აბრეშუმის გზაზე მონღოლთა და ილხანთა ეპოქაში“ (იხ. კონფერენციის თანდართული პროგრამა); თეირანის უნივერსიტეტის და საქართველოს უნივერსიტეტის მეორე სამეცნიერო ონლაინ სემინარზე „აქემენიანთა მემკვიდრეობა საქართველოში“; ალამე თაბათაბაის უნივერსიტეტის და საქართველოს უნივერსიტეტის პირველ ონლაინ სამეცნიერო სემინარზე, (იხ. სემინარების თანდართული პოსტერები); საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ I საერთაშორისო კონფერენციაზე „საქართველო და კავკასია - წარსული, აწმყო, მომავალი“, (იხ. კონფერენციის თანდართული პროგრამა). **თ.მეშველიშვილი –** **მოხსენებები:** ვარშავის უნივერსიტეტის თურქოლოგიის VI საერთაშორისო კონგრესზე - 2022 სექტემბერი (პოლონეთი), იხ.თანდართული წერილი); საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის I საერთაშორისო კონფერენციაზე „საქართველო და კავკასია - წარსული, აწმყო, მომავალი“, (იხ. კონფერენციის თანდართული პროგრამა). რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა[29]	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამული ანგარიში; • აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა საერთაშორისო სასწავლო და განმახორციელებელთა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობების (ენობრივი სტაჟირებები; საზაფხულო სკოლები,

[29]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	სამეცნიერო კონფერენციები) ამსახველი მასალა.

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
რეკომენდაცია **XIII**[30]	13. რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად ჩაერთოს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროექტებში, რაშიც, სასურველია, უსდ-მ მეტად შეუწყოს მათ ხელი.
შეფასება	საქართველოს უნივერსიტეტს გააჩნია ბიუჯეტი პროგრამის განმახორციელებელთა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ან/და საერთაშორისო პუბლიკაციების დასაფინანსებლად, ასევე, რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაციების პრემირების მექანიზმი. გარდა ამისა, უნივერსიტეტში მოქმედებს საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წარდგენის წესი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისთვის, რომლის სამეცნიერო საბჭო განიხილავს და დადგენილი პროცედურის შესაბამისად აფასებს წარდგენილ პროექტებს და, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, აფინანსებს მას. ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ქართველოლოგიის ინსტიტუტი (ხელმძღვანელი მ.სანაძე), რომელიც სამეცნიერო კვლევებზეა ორიენტირებული. დასახელებულ ინსტიტუტში ცალკე არსებობს ქართულ-აღმოსავლური კვლევების დეპარტამენტი (ხელმძღვანელი ა. ჭულუხაძე) და აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ ნებისმიერ მკვლევარს ან მკვლევართა ჯგუფს აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის და ახლო აღმოსავლეთის კვლევითი ცენტრის გარდა, შეუძლიათ პროექტის მომზადება და წარდგენა აღნიშნულ ინსტიტუტშიც. ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილ პროგრამულ ანგარიშსა და თანდართულ მასალაში დასტურდება პროგრამის განმახორციელებელთა შემდეგი

[30]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	პროექტები: 2022 წლის ივნისში დასრულდა საქართველოს უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის და თეირანის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის (ირანი) ერთობლივი პროექტი და თეირანში სპარსულ ენაზე გამოიცა ა.ჭულუხაძის გამოკვლევა „ირანი და კავკასია: ენობრივი მემკვიდრეობის ანალიზი“, (იხ. წიგნის გარეყდის ფოტო). მომზადებულია კვლევითი პროექტი, რომელიც ეძღვნება ქართული თურქოლოგიის საიუბილეო 100 წლისთავს და მოიცავს: წიგნის გამოცემას „ქართული თურქოლოგია“, საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებას თურქეთის რესპუბლიკის საისტორიო საზოგადოების მხარდაჭერით, ავტორთა კოლექტივის მიერ განმაზოგადებელი ნაშრომის მომზადებას და პუბლიკაციას ქართული თურქოლოგიური სკოლისა და მათი მიღწევების შესახებ. პროექტი მომზადდა თურქული მხარესთან ერთად (პროფ.სალიჰ უჩაქი და დოქტორი - სერპილ იაზიჯი შაჰინი) თსუ-ს, საქართველოს უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობით თურქეთის საელჩოს მხარდაჭერით (იხ. პროექტის განთავსების ლინკი). ალექსანდრე ჭულუხაძე ქართველოლოგიის ინსტიტუტის ეგიდით მუშაობს სამწლიან სამეცნიერო პროექტზე „ქართული ენის ირანულ ნასესხობათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, რომლის განსახორციელებლად იგეგმება თანამშრომლობა თეირანის უნივერსიტეტთან (ირანი), ვენის ირანისტიკის ინსტიტუტთან (ავსტრია) და „ენციკლოპედია ირანიკას“ სამეცნიერო საბჭოსთან (აშშ). აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის მიერ მზადდება პროექტი „ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ანოტირებული ბიბლიოგრაფია“, რომლის განხორციელებაშიც დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სტუდენტებიც. საქართველოს უნივერსიტეტის და მაზანდარანის უნივერსიტეტის (ირანი) მიერ შეთანხმებულია და ტექნიკური დამუშავების პროცესშია სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „ქალაქ ბეჰშაჰრის გორჯიმაჰალლეს (ქართველების უბნის) ისტორია“, რომლის განხორციელებაშიც ირანელ

	სპეციალისტებთან ერთად აქტიურად ჩართულნი იქნებიან აღმოსავლეთმცოდნეობის პროგრამის პროფესორ - მასწავლებლები და სტუდენტები. რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა[31]	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამული ანგარიში; • სამეცნიერო ინსტიტუტის დებულება; • პრემიის გაცემის წესი; • აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა სამეცნიერო პროექტების ამსახველი მასალა.

სტანდარტის დასახელება[32]	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება[33]	5.1 შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია **XIV** [34]	14. მიზანშეწონილია, შედგეს გამოკითხვების ანალიზის ანგარიშებზე რეაგირება, ნებისმიერი მნიშვნელოვან შედეგზე ორიენტირებული მოქმედება (მათ შორის პროგრამის განხილვა, თვითშეფასების ჯგუფის მუშაობა) პროცედურულად აისახოს ოფიციალური წესით (მინიმუმ ოქმის სახით მაინც) შინაარსობრივი და ფორმალური მოთხოვნების დაცვის მიზნით; ასევე, რეკომენდებულია, გამოკითხვის კითხვარები შეიცავდეს სრული ინფორმაციას მოწვეული ლექტორების საჭიროებების შესახებაც;
შეფასება	ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი ანგარიში იძლევა ინფორმაციას, რომ გამოკითხვების ანალიზის ანგარიშებზე რეაგირებას და ნებისმიერ მნიშვნელოვან შედეგზე ორიენტირებულ მოქმედებას (მათ შორის პროგრამის განხილვა, თვითშეფასების ჯგუფის მუშაობა) საქართველოს უნივერსიტეტში ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის

[31]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[32]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[33]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[34]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	განვითარების საბჭო (პგს), რომლის ფუნქციაა პროგრამის შექმნა, განვითარება და მონიტორინგის განხორციელება. დებულების თანახმად, მას სკოლის საბჭო ქმნის და მის შემადგენლობას პროგრამის ამოცანისა და მიზნებიდან გამომდინარე აყალიბებს. პროგრამის განვითარების საბჭოს შემადგენლობაში შედიან: პროგრამის ხელმძღვანელი/დეპარტამენტის ხელმძღვანელი ან/და სკოლის დირექტორი, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების წარმომადგენელი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პოტენციური დასაქმების სფეროს წარმომადგენელი. ამ საბჭოზე განიხილება ყველა დაინტერესებული მხარის გამოკითხვის შედეგების ანგარიში და ხდება მსჯელობა პროგრამის ცალკეული კომპონენტების ან პროგრამის მოდიფიცირების ან/და ცვლილებების საჭიროების შესახებ სტუდენტის ან კურსდამთავრებულის ინტერესებიდან გამომდინარე, ან დასაქმების ბაზარზე ახალი ტენდენციების და მოთხოვნების გათვალისწინებით. ყველა ეს გადაწყვეტილება აისახება დოკუმენტში – პროგრამის განვითარების საბჭოს ოქმში და გადაეცემა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის ადმინსიტრირების სამსახური, დეპარტამენტი, კონკრეტული აკადემიური პერსონალი – მის მიერ განხორციელებულ სასწავლო კომპონენტში ცვლილებების აუცილებლობის შემთხვევაში ან ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური) განსახორციელებლად. კითხვარები სტანდარტული ფორმისაა, შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას რაც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის (ძირითადი და მოწვეული) საჭიროებების, სურვილებისა თუ რეკომენდაციების დასადგენად და ეგზავნება როგორც ძირითად, ისე მოწვეულ პერსონალს. შედეგების ანალიზის პროცესშიც მუშავდება გამოკითხვაში მონაწილე როგორც ძირითადი, ისე მოწვეული პერსონალის მიერ შევსებული კითხვარები. რეკომენდაციის შესრულების მიზნით, ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილია დამსაქმებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანგარიშები. რეკომენდაცია შესრულებულია.

რჩევა[35]	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამული ანგარიში; • დამსაქმებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანგარიშები.

სტანდარტის დასახელება[36]	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება[37]	5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია **XV** [38]	**15.** რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგის ღონისძიებები აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის შინაარსობრივი მხარის სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ახალ მოთხოვნებთან უფრო მეტად თავსებადობის, საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცედურული თუ შინაარსობრივი საკითხების გადამუშავების, პრაქტიკაში ხარისხის შიდა რეგულაციების სრული დაცვის, სილაბუსების დახვეწის, პროგრამის განვითარების მიზნით პრობლემების დადგენა-იდენტიფიცირებაზე ორიენტირებული კვლევების ჩატარების მიმართულებით.
შეფასება	ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი ანგარიში იძლევა ინფორმაციას, რომ საქართველოს უნივერსიტეტში შიდა მონიტორინგის განხორციელების მექანიზმს წარმოადგენს პროგრამის განვითარების საბჭო. გარდა ამისა, ხარისხის სამსახურში მოქმედებს შიდა მონიტორინგის სამსახური, რომელთანაც ანგარიშვალდებულია სხვადასხვა სკოლა და პროგრამის ხელმძღვანელობა. პროგრამის მუდივ მონიტორინგს დეპარტამენტთან და სკოლასთან ერთად ახორციელებს უნივერსიტეტის

[35]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[36]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[37]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[38]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. საქართველოს უნივერსიტეტში შიდა მონიტორინგის მექანიზმად უნდა ჩაითვალოს პროგრამის მართვის საბჭოც,რომელიც შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და მისი საქმიანობის პრინციპი აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში. აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით მოხდა აღმსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ცალკეულ სილაბუსებში აღმოჩენილი გარკვეული ხარვეზების მონიტორინგი და სილაბუსების მოდიფიცირება, ასევე პროგრამის სრულად გადაწყობა და მორგება სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე. როგორც ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშით ირკვევა, ყველა ზემოაღნიშნულმა სამსახურმა საფუძვლიანად გადაამოწმა და გაასწორა საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული ყველა ხარვეზი, რამაც ამ რეკომენდაციის საფუძველი შექმნა. რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა[39]	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამული ანგარიში; • აღმოსავლეთმცოდნეობის მოდიფიცირებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • საგანმანათლებლო პროგრამის დებულება.

თანდართული დოკუმენტაცია[40]

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამული ანგარიში;
2. აღმოსავლეთმცოდნეობა. პროგრამა;
3. სილაბუსები: ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია;
   ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფო წყობილება და სამართალი;
   ახლო აღმოსავლეთის ხელოვნება და კულტურა;
   საქართველოს და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური ურთიერთობები;

[39]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[40]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა

ისლამი (რელიგია. ისტორია. ცივილიზაცია);
თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი (იდეოლოგია. პოლიტიკა. უსაფრთხოება);
თანამედროვე საზოგადოება და რელიგია ახლო აღმოსავლეთში;
ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გეოპოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში;
მედია და პოლიტიკა; (სულ 9 სილაბუსი)

4. საბაკალავრო სწავლების დებულება;
5. საბაკალავრო დებულების დანართი;
6. საკვალიფიკაციო ნაშრომის დებულება;
7. საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმებისა და შეფასების წესი;
8. APA სტილის ძირითადი მოთხოვნები;
9. პოტენციური დამსაქმებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანგარიშები;
10. სამეცნიერო ინსტიტუტის დებულება;
11. პრემიის გაცემის წესი;
12. ქართველოლოგიის ინსტიტუტის სხდომის ოქმი;
13. აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა სამეცნიერო პროექტების ამსახველი მასალა;
14. აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა საერთაშორისო სასწავლო და განმახორციელებელთა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობების (ენობრივი სტაჟირებები; საზაფხულო სკოლები, სამეცნიერო კონფერენციები) ამსახველი მასალა;
15. მემორანდუმები.

ჯამურად სულ 29 დანართი.

ექსპერტის ხელმოწერა: